საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №

MES 2 23 0001-11/58

09/03/2023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე და 35-ე მუხლების, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21 აპრილის N204 დადგენილებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 30 ივნისის N21 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების დეპარტამენტის პროფესიული და უმაღლესი განათლების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებამ უზრუნველყოს კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი